

SOMATIC VOCABULARY AND PHRASEOLOGICAL UNITS IN ENGLISH AND GEORGIAN: A COMPARATIVE LINGUOCULTURAL ANALYSIS

სომატური ლექსიკა და ფრაზეოლოგიური ერთეულები ინგლისურ და ქართულ ენებში: შედარებით ლინგვოკულტუროლოგიური ანალიზი

Irma Rusadze

Doctor of Philology, Associate Professor
Akaki Tsereteli State University,
Tamar Mepe St #59, 4600, Kutaisi, Georgia,
+995 577 66 84 65, irmarusadze@gmail.com
<https://orcid.org/0009-0003-8391-0623>

Abstract. In this paper special emphasis is on somatic vocabulary and phraseological units in the English and Georgian languages from structural, semantic, and linguocultural perspectives. Phraseological units represent a rich and productive layer of vocabulary and reflect the cultural and cognitive experience of a nation. Particular attention is paid to somatic phraseology, which is widely represented in both languages and often contains lexical components denoting parts of the human body. From a pragmatic point of view, such units frequently describe facial expressions, body movements, and the external manifestation of emotions and psychological states. The analysis of English and Georgian phraseological material demonstrates that somatic phraseological units convey a wide range of meanings related to human emotions, thoughts, behavior, and personal characteristics. The comparative study reveals both similarities and differences between the somatic phraseological systems of the two languages and identifies the linguistic and extralinguistic factors that determine them, as well as the degree of equivalence between corresponding phraseological units.

Keywords: Somatic phraseology; phraseological units; somatic vocabulary; linguocultural analysis.

ირმა რუსაძე

ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, თამარ მეფის #59, 4600, საქართველო,
+995 577 66 84 65, irmarusadze@gmail.com
<https://orcid.org/0009-0003-8391-0623>

აბსტრაქტი. წინამდებარე კვლევა განიხილავს სომატურ ლექსიკასა და ფრაზეოლოგიურ ერთეულებს ინგლისურ და ქართულ ენებში სტრუქტურული, სემანტიკური და ლინგვოკულტუროლოგიური თვალსაზრისით. ფრაზეოლოგიური ერთეულები ლექსიკის მდიდარ და პროდუქტიულ ფენას წარმოადგენს და ასახავს ერის კულტურულ და კოგნიტიურ გამოცდილებას. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სომატურ ფრაზეოლოგიას, რომელიც ფართოდ არის წარმოდგენილი ორივე ენაში და

ხშირად შეიცავს ადამიანის სხეულის ნაწილების აღმნიშვნელ ლექსიკურ კომპონენტებს. პრაგმატული თვალსაზრისით, ასეთი ერთეულები ხშირად აღწერს მიმიკას, სხეულის მოძრაობებსა და ემოციებისა და ფსიქოლოგიური მდგომარეობების გარეგნულ გამოვლინებებს. ინგლისური და ქართული ფრაზეოლოგიური მასალის ანალიზი აჩვენებს, რომ სომატური ფრაზეოლოგიური ერთეულები გადმოსცემს მნიშვნელობათა ფართო სპექტრს, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ემოციებთან, აზრებთან, ქცევასთან და პიროვნულ მახასიათებლებთან. შედარებითი კვლევა ავლენს როგორც მსგავსებებს, ისე განსხვავებებს ორი ენის სომატურ ფრაზეოლოგიურ სისტემებს შორის და განსაზღვრავს მათ განმაპირობებელ ლინგვისტურ და ექსტრალინგვისტურ ფაქტორებს, აგრეთვე, შესაბამის ფრაზეოლოგიურ ერთეულებს შორის ეკვივალენტობის ხარისხს.

საკვანძო სიტყვები: სომატური ფრაზეოლოგია; ფრაზეოლოგიური ერთეულები; სომატური ლექსიკა; ლინგვოკულტუროლოგიური ანალიზი;

შესავალი. სომატური ლექსიკა სულ უფრო და უფრო მეტად ექცევა ლინგვისტთა ყურადღების ცენტრში. ის მნიშვნელოვანწილად წარმოადგენს მეცნიერთა ინტერესის საგანს, რადგან სწორედ სომატური ლექსიკა იძლევა ენაში კულტურულ-ნაციონალური სპეციფიკის გამოვლენის საშუალებას. თანამედროვე სინამდვილაში კულტურათა ურთიერთგამდიდრების პირობებში აქტუალური გახდა ამ ლექსიკის შესწავლის ეფექტურობა, ამდლების საკითხები, რომლებიც ხელს უწყობს კულტუროლოგიური ცოდნის გაღრმავებას, რაც ენისა და ლინგვისტიკის განვითარებასთან ერთად უფრო ღრმა და ახალ შინაარსს იძენს, როგორც ენობრივი უნივერსალია.

ენა-კულტურის არსებობის ბუნებრივი გარემოა. სწორედ ენა უზრუნველყოფს მის მატარებელთა ურთიერთგაგებისა და მათი კომუნიკაციური ორიენტაციის ფორმირების საფუძველს. ამ თვალსაზრისით ენა წარმოადგენს კულტურის ერთგვარი სიმბოლური ორგანიზების საშუალებას (ფუტკარაძე 2005). სომატური ლექსიკა ფრაზეოლოგიაში მისი ბუნების გათვალისწინებით, უაღრესად საინტერესო მოვლენაა და მისი განვითარება ენაში ხდება არა მხოლოდ წმინდა ლინგვისტური თვალსაზრისით, არამედ კულტურული და სოციალური ასპექტების მიხედვითაც, ვინაიდან ენა წარმოადგენს კულტურის შემადგენელ ნაწილს და მის იარაღს. იგი არის კულტურის სახე და მისი ტრანსლირების ძირითადი საშუალება. სომატური ლექსიკა ფრაზეოლოგიაში მჭიდროდ უკავშირდება საზოგადოებრივ ცნობიერებას და ხალხის ყოფას გამოხატავს. მასში ვლინდება თვით ენა და ლექსიკური კონსტანტები კი სხვადასხვა საშუალებებით აისახება ნებისმიერ ენაში.

მეთოდები. კვლევაში გამოყენებულია შედარებითი, აღწერითი და ანალიზის მეთოდები. მასალების შერჩევა განხორციელდა სამეცნიერო ლიტერატურისა და ფრაზეოლოგიური ლექსიკონებიდან. კვლევის პროცესში განხორციელდა სომატური კომპონენტების შემცველი ფრაზეოლოგიზმების შერჩევა, მათი სემანტიკური და სტრუქტურული ანალიზი, ასევე მათი ფუნქციური და კულტურული თავისებურებების განსაზღვრა. შედარებითი მეთოდის გამოყენებით გამოვლინდა ორ ენაში არსებული

ეკვივალენტური, ნაწილობრივ ეკვივალენტური და არაეკვივალენტური სომატური ფრაზეოლოგიური ერთეულები.

შედეგები. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ სომატური ფრაზეოლოგიური ერთეულები მნიშვნელოვან ადგილს იკავებს როგორც ინგლისურ, ისე ქართულ ენებში და ისინი ფართოდ გამოიყენება ადამიანის ემოციების, ფსიქიკური მდგომარეობის, ქცევის და ხასიათის თავისებურებების გამოსახატავად. ჩატარებულმა შედარებითმა ანალიზმა აჩვენა, რომ ორივე ენაში განსაკუთრებით პროდუქტიულია ისეთი სომატური კომპონენტები, როგორცაა **თავი, თვალი, ხელი, გული და ფეხი**. აღნიშნული ლექსემები ხშირად გვხვდება ფრაზეოლოგიურ ერთეულებში და ასახავს ადამიანის შინაგან სამყაროსა და ემოციურ მდგომარეობას.

კვლევამ ასევე აჩვენა, რომ ინგლისურ და ქართულ ენებში გვხვდება როგორც **სემანტიკურად ეკვივალენტური**, ასევე **ნაწილობრივ ეკვივალენტური და არაეკვივალენტური** სომატური ფრაზეოლოგიზმები. სრული ეკვივალენტობა ძირითადად გვხვდება იმ შემთხვევებში, როდესაც ორივე ენაში ერთსა და იმავე სხეულის ნაწილზე დაფუძნებული მეტაფორული წარმოდგენაა. ნაწილობრივი ან არაეკვივალენტური შესაბამისობები კი განპირობებულია კულტურული, ისტორიული და ენობრივი თავისებურებებით.

შედეგებმა ასევე აჩვენა, რომ სომატური ფრაზეოლოგიური ერთეულები მნიშვნელოვან როლს ასრულებს ენის **ლინგვოკულტუროლოგიური თავისებურებების** გამოვლენაში, რადგან ისინი ასახავს ხალხის კულტურულ გამოცდილებას, სამყაროს აღქმას და ეროვნული მენტალიტეტის გარკვეულ მახასიათებლებს. შესაბამისად, სომატური ფრაზეოლოგიის შედარებითი კვლევა საშუალებას გვაძლევს უკეთ გავიგოთ როგორც უნივერსალური, ასევე სპეციფიკური ნიშნები ინგლისურ და ქართულ ფრაზეოლოგიურ სისტემებში.

მსჯელობა. სომა ბერძნული სიტყვაა--soma---რაც ტანს, სხეულს ნიშნავს. ეს ტერმინი შემოიღო ზოოლოგმა ვაისმანმა. მისი მოძღვრების მიხედვით სომა უპირისპირდება ჩანასახოვან პლაზმას, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემა სქესობრივი უჯრედების საშუალებით. სომატოლოგია ბერძნულად soma სხეული და logia მოძღვრება - ანთროპოლოგიის ნაწილია, რომელიც იკვლევს ცვლილებებს ადამიანის სხეულის აგებულებაში მისი სიცოცხლის დროს, ხოლო სომატური აღნიშნავს სხეულთან დაკავშირებულს, არა ფსიქიკურს.

სომატური ლექსიკა XX საუკუნის დასასრულსა და XXI საუკუნის დასაწყისში ლინგვისტთა ყურადღების ცენტრში მოექცა. თანამედროვე სინამდვილეში გლობალიზაციის, ინტეგრაციისა და კულტურათა ურთიერთგამდიდრების პირობებში აქტუალური გახდა კულტურათაშორისი კომუნიკაციის, მათ შორის იმ ლექსიკის შესწავლის ეფექტურობის ამალღების საკითხები, რომლებიც ხელს უწყობს ქვეყანათმცოდნეობითი, კულტუროლოგიური ცოდნის გაღრმავებას, რაც შეესაბამება კომუნიკაციური ლინგვისტიკის, უცხო ენის აქტუალური დაუფლების მიზნებსა და ამოცანებს.

ენისა და ლინგვისტიკის განვითარებასთან ერთად ინტერესი სომატური ლექსიკისადმი როგორც ენობრივი უნივერსალისადმი სულ უფრო ღრმავდება და იძენს ახალ შინაარსს - ერთვება ახალ-ახალ სამეცნიერო-თეორიულ კვლევათა ორბიტაში. ფრაზეოლოგიური ერთეული, რომელიც შეიცავს სომატურ კომპონენტს, ჩვეულებრივ

გაიგება როგორც ფრაზეოლოგიზმი, რომლის წამყვან ან დამოკიდებულ კომპონენტს წარმოადგენს სიტყვა, რომელიც აღნიშნავს ადამიანის ორგანიზმის არა მარტო გარეგნულ ფიზიკურ ფორმებს (თავი, ხელი, ცხვირი და ა.შ.), არამედ მისი გულსისძარღვთა, ნერვულ და სხვა სისტემების ელემენტებსაც (სისხლი, ტვინი, ღვიძლი, გული და ა.შ.). ამ ფრაზეოლოგიზმების არჩევა იმითაა განპირობებული, რომ სფე (სომატური ფრაზეოლოგიური ერთეული) კომუნიკაციურად მეტად მნიშვნელოვანი და ხშირად გამოყენებადი ერთეულებია. ეს ფრაზეოლოგიზმები სპონტანურად, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად წარმოიქმნება სხვადასხვა პერიოდსა და სხვადასხვა ენაში. მათ საერთო საფუძველს წარმოადგენს ადამიანის საერთო ფიზიკური და ფსიქოლოგიური ნიშან-თვისებები, განვითარების საერთო პირობები.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღინიშნება, რომ სომატიზმები ლექსიკის ერთ-ერთი ყველაზე ძველი ჯგუფებია, რომლის ბაზაზეც ხშირია ფრაზეოლოგიზმების წარმოქმნა. ფრაზეოლოგიურ ერთეულებს შორის განსაკუთრებით მდიდარია ფრაზეოლოგიზმები, რომლებშიც წარმოდგენილია გრძნობის ორგანოები, რომელთა მეშვეობითაც ადამიანი აღიქვამს გარესამყაროს, შეიმეცნებს საკუთარ მეს და საკუთარ თავს ამ სამყაროში. ფრაზეოლოგიზმები კომპონენტებით თავი, თვალი, ცხვირი, ხელი, გული, ყური, ენა შეადგენენ სომატური ფრაზეოლოგიზმების 70%-ს. ადამიანისა სხეულის ნაწილთა სახელები შეიძლება გავყოთ გარეგანი ნაწილებისა და შინაგანი ორგანოების სახელწოდებებად.

ლინგვისტები ყოველთვის ცალსახად არ განმარტავენ ტერმინს „სომატიზმი“. მათი თვალსაზრისით, ეს ტერმინი განისაზღვრება როგორც სიტყვათა მყარი კომპლექსების ერთობლიობა, რომელთა შემადგენლობაში შედის ადამიანისა და ცხოველის სხეულის ნაწილების სახელწოდებებს, აგრეთვე სხეულში არსებული სითხის („სისხლი“) დასახელებას, და სიტყვებს, რომლებიც არ ასახელებენ სხეულის ნაწილებს, მაგრამ უშუალოდ არიან დაკავშირებული ადამიანის ორგანიზმთან („ნერვები“, „ძვალი“ და ა.შ.) და აგრეთვე, სომატიზმებშივე განიხილება მყარი შესიტყვებები, რომლებიც წარმოქმნილია სიმბოლური ჟესტებისა და მიმიკის აღწერის შედეგად.

ლინგვისტთა ერთი ნაწილი სომატურ ფრაზეოლოგიზმებად განიხილავს მხოლოდ ისეთ ერთეულებს, რომელთა შემადგენლობაში შედის ადამიანის სხეულის ნაწილების სახელწოდებები. ისინი არ განიხილავენ ამ ჯგუფში ჟესტურ და მიმიკურ ფრაზეოლოგიზმებს.

ჩემი აზრით, სომატიზმების შემადგენლობაში მართებულია არა მარტო ადამიანის სხეულის ნაწილთა აღმნიშვნელი ლექსემების შეყვანა, არამედ იმ სიტყვებისაც, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებული არიან ადამიანისა ორგანიზმთან (ძვალი, კანი, სისხლი, ნერვი, კუნთი და ა.შ.), რადგან ისინი აღნიშნავენ მატერიალური სუბსტანციის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ელემენტებს, რომელთა გარეშეც ვერ იარსებებს ცოცხალი ორგანიზმი.

ამრიგად, ფრაზეოლოგიური ერთეულები სომატური კომპონენტებით მოიაზრება როგორც ფრაზეოლოგიზმები, რომელთა შემადგენლობაში შედის არა მხოლოდ სხეულის გარეგანი ნაწილები და ორგანოები, არამედ, აგრეთვე ცოცხალი არსების სხეულის შინაგანი ორგანოები.

სხეულის ნაწილების სახელწოდებები, როგორც ჩანს, წარმოადგენს სიტყვათა ისეთ ჯგუფს, რომლებიც საკმაოდ ხშირად მონაწილეობს ფრაზეოლოგიზმების წარმოქმნაში. ამას ადასტურებს სომატური ფრაზეოლოგიზმების შეპირისპირებითი კვლევების მასალები, რომლებშიც შესწავლილია შესაბამისი ფრაზეოლოგიური ერთეულები და

მათი მსგავსება- განსხვავებანი სხვადასხვა ენის საფუძველზე. ფრაზეოლოგიური ერთეულების წარმოქმნის განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩევა სიტყვები, რომლებიც აღნიშნავენ ხელს, თვალს და თავს. ეს გარემოება, ცხადია, არ აიხსნება შიდა ლინგვისტური მიზეზებით. ეს კომპონენტები პირდაპირ შესაბამისობაშია შემეცნების გრძობით (თვალი) – *one's eyes deceive-თვალი მატყუებს* და ლოგიკურ (თავი) – *have got a good head on one's shoulders* - კარგი თავი აბია საფეხურებთან, აგრეთვე მისი ჭეშმარიტების საზომთან - პრაქტიკასთან (ხელი). – *to turn one's hand* - ხელი მიჰყო რაიმეს (სახოკია 1953-1955).

ფრაზეოლოგიური ერთეულების ეს სომატური კომპონენტები, როგორც დამოუკიდებელი სიტყვები, მიეკუთვნებიან ხშირად გამოყენებადი ლექსიკური ზონის შემადგენლობას; ისინი ლექსიკური სისტემის უძველეს და სოციალურად უმნიშვნელოვანეს ნაწილს წარმოადგენენ (გოგოლაშვილი 2001) ჩვეულებრივ, ეს პოლისემანტიკური სიტყვებია, რომელთა ცალკეული გადატანითი მნიშვნელობები ფრაზეოლოგიურ ერთეულთა ფრაზეოლოგიურ მნიშვნელობებშიც აღიქმება. თუმცა გადამწყვეტ როლს მათი პირველადი, პირდაპირი მნიშვნელობები ასრულებენ.

სომატური ფრაზეოლოგიები თანამედროვე ინგლისურ ენაში მრავალრიცხოვან ჯგუფს შეადგენს. განსაკუთრებული სიხშირით ხასიათდება სომატიზმი hand. მას აქტიურობის მიხედვით მოსდევს შემდეგი სიტყვები: *head, eye, face, foot, nose, finger, heart*. დანარჩენი სომატიზმები (*leg, arm, back, bone, brain, ear, tooth, skin, shulder, neck, tongue*) ნაკლებად გამოიყენება, მაგრამ მათი ფრაზეოლოგიური აქტივობა საკმაოდ მაღალია (Seidl J., McMordie W 1998) ხოლო ქართულ ენაში კი, განსაკუთრებული სიხშირით გვხვდება სომატიზმი – გული, რომელსაც აქტივობის მიხედვით მოყვება შემდეგი სომატიზმები: თავი, თვალი, ხელი, პირი, ფეხი, ყური. სხეულის ნაწილების სახელწოდებები არა მარტო პირდაპირი. მნიშვნელობით ფიგურირებენ სხვადასხვა ენის ფრაზეოლოგიურ სისტემაში: მათ სიმბოლური ხასიათიც გააჩნია (ონიანი 1988)

მეცნიერთა მიერ დადგენილია, რომ კომუნიკაციის პროცესში ინფორმაციის მხოლოდ 35% გადმოიცემა ენის მეშვეობით. ურთიერთობის სხვა არავერბალურ საშუალებებს წარმოადგენს ეგრეთწოდებული სომატური ენა: ჟესტების, პოზების, მიმიკის, სახის გამომეტყველების ენა, რომელიც აქტიურად ერთვება ინფორმაციის გადმოცემაში. კომუნიკაციის არავერბალურ საშუალებებს, რომლებიც ისტორიულად ვერბალურზე ადრე გაჩნდა, გააჩნიათ ადრესატზე ძლიერი ზემოქმედების უნარი - მათი მეშვეობით შესაძლებელია ზოგჯერ ისეთი ინფორმაციის გადმოცემა, როელთა გამოხატვაც ძნელი ან რაიმე მიზეზთა გამო უხერხულია სიტყვებით. ამიტომ არავერბალური ქცევა არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე წარმოთქმული სიტყვები.

ჟესტების ენა ცალსახად ინტერნაციონალურია მხოლოდ აღწერითი ჟესტების (ასანთის ანთება, პირის გაპარსვა და ა.შ.) ფარგლებში, მაგრამ ძირითადად „კომუნიკაცია ჟესტების მეშვეობით ისეთივე ნაციონალური ფენომენია, როგორც ვერბალური ენები" (კაჭარავა 2010). ამას განაპირობებს სომატური ენის ორმაგი ბუნება: ერთი მხრივ, ბიოლოგიური, თანდაყოლილი (უნებლიე, გაუცნობიერებელი გამოვლინებები: გაფითრება, თვლების გუგების გაფართოება და ა.შ.) და მეორე მხრივ, სოციალური, ადამიანის მიერ სოციალიზაციის პროცესში შექმნილი (გაცნობიერებული, გააზრებული გამოვლინებები:

scratch one's head -თავი (კევა) მოიფხანა (პრობლემაზე დაფიქრებისას);

can't take one's eyes from/off -თვალს ვერ მოწყვეტ;

rub one's hands - ხელებს ისრესს (სიამოვნების, კმაყოფილების გამოხატვა).

არავერბალური კომუნიკაციის ასეთი „ორმაგი“ ბუნება განსაზღვრავს როგორც უნივერსალურ, ყველასთვის გასაგები ნიშნების, ისე სპეციფიკური სიგნალების არსებობას, რომლებიც მხოლოდ ერთი კულტურის ფარგლებში გამოიყენება.

ინფორმაციის გადმოცემის კულტურით განპირობებული არავერბალური საშუალებები, რომლებიც სიმბოლოებს წარმოადგენენ, ჩვენთვის საინტერესოა არა მარტო იმიტომ. რომ მათი ცოდნა აუცილებელია კომუნიკაციაში წარმატებული მონაწილეობისათვის, არამედ პირველ რიგში იმიტომ, რომ არავერბალურ ენას გააჩნია მყარი ვერბალური აღწერა, კერძოდ, ფრაზეოლოგიური ერთეულების ფორმით, რომლებიც ინგლისურ და ქართულ ენებში ვრცელ, მდიდარ ფენას წარმოადგენს.

პრაგმატული თვალსაზრისით სომატური ერთეულები აღწერენ, მაგალითად, მიმიკას ან სხეულის მოძარობას, მაგრამ პროექციული თვალსაზრისით ისინი ასახავენ ემოციებისა და ფსიქიური მდგომარეობის გარეგნულ გამოვლინებას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მათ სემანტიკაში დევს ადამიანის სულიერ მდგომარეობაზე მინიშნების ჩვეული ნორმები მისი გრძნობების, განზრახვათა, განცდების პროვოცირების გზით მათ გარეგნულ გამოვლინებებზე.

მაგალითად: *sit on one's hand* - გულხელდაკრეფილი ჯდომა;

button/zip one's lips - ბოქლომი აქვს პირზე დადებული;

make eyes at smb - თვალებს უნაზავს (ეპრანჭება);

one's face falls - სახე ჩამოსტირის;

ნაშრომში წარმოდგენილი ფრაზეოლოგიზმები აღწერენ ადამიანის მრავალფეროვან გრძნობებს, ფსიქიკურ მდგომარეობებს, აზრებს, ქცევას, მისი გარეგნობისა და ხასიათის თავისებურებებს და ა.შ. ამიტომ ბუნებრივია, რომ ამ ფრაზეოლოგიურ ერთეულთა უმეტესობა შეიცავს ადამიანის სხეულის სახელწოდებებს. ძირითადად, ინგლისურ და ქართულ ენებში გამოვლენილია ადამიანის სხეულის ნაწილთა 40 დასახელება, რომელთა შორის განსაკუთრებით ხშირი გამოყენება ახასიათებს (კლების პრინციპით) შემდეგ სიტყვებს: *head-თავი, eye-თვალი, hand-ხელი, heart-გული, foot-ფეხი, finger-თითი, face-სახე, hair-თმა, nose-ცხვირი, tooth-კბილი*, რომლებიც შეადგენენ საკვლევი ფრაზეოლოგიური კორპუსის დაახლოებით 70%-ს.

განვიხილოთ იმ ინგლისური და ქართული ფრაზეოლოგიური ერთეულების შეპირისპირებითი კვლევის შედეგები, რომლებიც შეიცავენ კომპონენტს *eye(s)* – თვალი/თვალები.

თვალები ადამიანის სხეულის მნიშვნელოვანი ორგანოა - სამყაროს შესახებ ინფორმაციის დიდ ნაწილს ადამიანი თვალების, მხედველობის წყალობით იღებს, თვალების - ამ კომპონენტის მეშვეობით ხდება ადამიანის არა მარტო ფიზიკური დახასიათება (*smb's blue-eyed/fair-haired boy* - ვისიმე საყვარელი ადამიანი), არამედ გამოიხატება ადამიანის უნარი, შეიმეცნოს მოვლენები (*have eyes on the back of one's head* - თვალები კეფაზე აქვს, დაკვირვებულია; *open smb's eyes to smth* - თვალები აუხილა (ვინმეს) (რამეზე); *look at smth through smb's eyes* - რაიმეს უყურებდეს სხვისი თვალებით; *do smth with your eyes shut/closed* - რაიმეს კეთება დახუჭული თვალებით), აგრეთვე ადამიანის შინაგანი მზერა, ხედვა, მისი ინტუიცია (*see smth in one's mind's eye* - გონების თვალის (გულის თვალთ) დანახვა (რაიმესი).

ორივე ენის ფრაზეოლოგიურ სისტემაში დაფიქსირებულია თვლების უნარი იმყოფებოდნენ მოძრაობაში, რაც იმაში ვლინდება, რომ სიტყვები *eye/თვალი* გამოიყენება მოძრაობის აღმნიშვნელ სიტყვებთან ერთად, როგორცაა: *bat, cast, clap, cock, close, lay,*

open, run, set, shut, take off, turn; ატრიალებს, მოავლებს, აცეცებს; გაურბის, გაექცევა, გადაატრიალებს.

ორივე ენაში არსებობს ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომლებიც აგებულია მეტონიმის საფუძველზე. „თვალი ადამიანი“: an eagle/quick eye - არწივის თვალი, ანუ დაკვირვებული ადამიანი; be all eyes - თვალებად იქცა, ანუ ძალიან ყურადღებითაა; an eye for an eye - თვალი თვალის წილ; an apple of smb's eye - თვალის ჩინი).

ორი ენის სომატურ ფრაზეოლოგიურ სისტემათა შეპირისპირების შედეგად გამოვლინდა ინგლისურ და ქართულ ფრაზეოლოგიურ სისტემებს შორის არსებული მსგავსება - განსხვავებები; შედარებითა ანალიზმა აჩვენა, თუ როგორ ვლინდება ისინი ენის სხვადასხვა - ფუნქციონალურ, სემანტიკურ, ფორმალურ-აზრობრივ, სტრუქტურულ ასპექტში; თუ რა შიდაენობრივი და ექსტრალინგვისტური ფაქტორებითაა ისინი განპირობებული, როგორია სომატური ფრაზეოლოგიზმების ეკვივალენტურობის ხარისხი ენებს შორის.

გამოიყოფა სრული და არასრული სტრუქტურულ-სემანტიკური ეკვივალენტები. სრული სტრუქტურულ-სემანტიკური ეკვივალენტები – ინგლისური და ქართული ენების ისეთი ფრაზეოლოგიური ერთეულებია, რომელთაც ახასიათებს ერთნაირი მნიშვნელობა, ერთნაირი კომპონენტური შემადგენლობა და მსგავსი სინტაქსური ორგანიზება.

მაგალითად: *welcome someone/something with open arms* - *გაშლილი ხელებით შეხვდა (შეეგება) ვინმეს (რაიმეს);*

to turn one's back upon somebody - *ზურგი შეაქცია;*

სრული სტრუქტურულ-სემანტიკური ფრაზეოლოგიური ეკვივალენტების წარმოქმნის ერთ-ერთ მიზეზს, ჩვენი აზრით, წარმოადგენს სესხება მესამე წყაროდან. მაგალითად: *one's Achilles heel*

მაგალითად: *one's Achilles heel*-*აქილევსის ქუსლი;*

one's own flesh and blood-*სისხლი და ხორცი;*

all skin and bones-*ძვალი და ტყავია;*

an eye for an eye, a tooth for a tooth *თვალი თვალის წინ, კბილი კბილის*

წილ.

ასეთი ფრაზეოლოგიური ერთეულები ინგლისურშიც და ქართულში მესამე წყაროებიდან – ძირითადად ბიბლიიდან ან ძველი საბერძნეთის და რომის ანტიკური მითოლოგიიდანაა შემოსული.

არასრულ სტრუქტურულ-სემანტიკურ ფრაზეოლოგიურ ეკვივალენტებს წარმოადგენს ისეთი ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომელთაც გააჩნიათ სრული სემანტიკური მსგავსება, მაგრამ მათი კომპონენტური შემადგენლობა (მოცემული საკვლევი ფრაზეოლოგიური ჯგუფის ფარგლებში) გარკვეულწილად განსხვავებულია.

მაგალითად: *to have something at one's finger-tips*-*(საკუთარი) ხუთი თითივით იცის;*

ამ ფრაზეოლოგიურ ერთეულებში ხდება ან ზმნური კომპონენტების ვარირება (ერთი ლექსიკურ-სემანტიკური ჯგუფის ფარგლებში), ან „სხეულის ნაწილის“ აღმნიშვნელი სახელისა. თუმცა ეს განსხვავებანი არ ახდენენ გავლენას ფრაზეოლოგიზმის საერთო სახეობრივ მნიშვნელობაზე და მის ფუნქციონალურ თავისებურებებზე.

ასეთ არასრულ სტრუქტურულ-სემანტიკურ ეკვივალენტებს ხშირ შემთხვევაში გააჩნიათ სემანტიკური ფრაზეოლოგიური ეკვივალენტები. ფრაზეოლოგიურ ერთეულთა სემანტიკური ეკვივალენტები ჩვენს მიერ მოიაზრება როგორც ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც იდენტურია ორ ენაში თავიანთი სახეობრივი მნიშვნელობით, მაგრამ

განსხვავებებიან ერთმანეთისაგან გამოხატვის მიხედვით – როგორც ლექსიკური, ისე სინტაქსური თვალსაზრისით.

მაგალითად: *work one's fingers to the bone- ხელებდაკაპიწებული მუშაობს;*

to be fed up to the back teeth-ყელამდეა მადლარი;

out of the mouths of babies and sucklings-ჯერ ტუჩებზე რძე არ შემრობია

ინგლისური და ქართული ენების ეკვივალენტური ფრაზეოლოგიური ერთეულებისგან უნდა განვასხვავოთ სტრუქტურული ფსევდოეკვივალენტები, რომლებიც, მართალია, ერთნაირია სტრუქტურის მიხედვით, მაგრამ გააჩნიათ განსხვავებული, ზოჯერ კი ურთიერთსაწინააღმდეგო მნიშვნელობები.

მაგალითად: *to a hair - (ზუსტად) ერთ ბეწვზე (აცდა)*

ასეთი „ეკვივალენტები“ ხშირად ასრულებენ „მთარგმნელის ცრუ მეგობრების“ როლს ფრაზეოლოგიის სფეროში მიუხედავად იმისა, რომ მათ არ გააჩნიათ პირდაპირი მატერიალური იდენტურობა, ისინი სერიოზულ პრაქტიკულ სირთულეს წარმოადგენენ ამ ენების შემსწავლელთათვის, რადგან შეცდომაში შეჰყავთ ისინი ლექსიკური და სინტაქსური ორგანიზმების მსგავსებითა და მთლიანი სემანტიკური მნიშვნელობის სრული განსხვავებულობით. სხვაგვარად რომ ვთქვათ, აქ ადგილი აქვს ფრაზეოლოგიური ერთეულების სტრუქტურისა და შინაარსის ასიმეტრიას.

ერთიანი სტრუქტურის მქონე ფრაზეოლოგიური ერთეულების სემანტიკური განსხვავებულობა ინგლისურ და ქართულ ენებში განსაკუთრებით საინტერესოა. იგი, ჩემი აზრით, წარმოადგენს სხვადასხვა ენაში ერთიანი ლექსიკური კომპლექსების განსხვავებული გაცნობიერების, გააზრების შედეგს. თუმცა, უმეტეს შემთხვევაში შესაპირისპირებელ ენებში ფრაზეოლოგიური ერთეულების სტრუქტურულ შესაბამისობას თან ახლავს ფუნქციურ-აზრობრივი შესაბამისობა, რადგან სომატური ფრაზეოლოგიზმების სფეროში ფუნქციონირებს ფრაზეოლოგიზმების წარმოების მსგავსი სემანტიკური მოდელები.

დასკვნა. ჩატარებული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ სომატური ფრაზეოლოგიური ერთეულები მნიშვნელოვანი და პროდუქტიული ფენაა როგორც ინგლისური, ისე ქართული ენის ფრაზეოლოგიურ სისტემაში. აღნიშნული ერთეულები ფართოდ გამოიყენება ადამიანის ემოციების, ფსიქიკური მდგომარეობის, ქცევის, ხასიათისა და გარეგნული ნიშნების გამოსახატავად. კვლევამ აჩვენა, რომ ორივე ენაში ხშირია სხეულის ნაწილების სახელწოდებების შემცველი ფრაზეოლოგიზმები, რაც მიუთითებს სომატური კომპონენტების მნიშვნელოვან როლზე ენის მეტაფორულ სისტემაში.

შედარებითმა ანალიზმა გამოავლინა როგორც უნივერსალური, ასევე კულტურულად სპეციფიკური ნიშნები ინგლისურ და ქართულ სომატურ ფრაზეოლოგიაში. გარკვეული ფრაზეოლოგიური ერთეულები სრულ ან ნაწილობრივ ეკვივალენტობას ავლენს ორ ენას შორის, ხოლო სხვები განპირობებულია კონკრეტული ერის კულტურული და ისტორიული გამოცდილებით. აღნიშნული კვლევა ხელს უწყობს ინგლისური და ქართული ენების ფრაზეოლოგიური სისტემების უკეთ გააზრებას და სომატური ფრაზეოლოგიის ლინგვოკულტუროლოგიური მნიშვნელობის გამოვლენას.

ფრაზეოლოგიური ერთეულები სომატური კომპონენტებით არსებითი და თანაც მეცნიერულად საინტერესო ფენომენია ენაში. განსაკუთრებით აღსანიშნია ის სომატური ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც კარგად ასახავს ადამიანის შინაგან თუ გარეგან მდგომარეობას. აქედან გამომდინარე, სომატური ფრაზეოლოგიზმები მნიშვნელოვანია

ენის, კულტურისა და ხალხის სულიერი ცხოვრების შესასწავლად, რადგან კულტურა სიტუაციური აზროვნების ჩარჩოებში ყალიბდება და არსებობს, რომელიც მიზმილია განსაზღვრულ დროზე, ადგილზე, მოვლენასა და მთლიანად გამოცდილებაზე. ენა-კულტურის არსებობის ბუნებრივი გარემოა. სწორედ ენა უზრუნველყოფს მის მატარებელთა ურთიერთგაგებისა და მათი კომუნიკაციური ორიენტაციის ფორმირების საფუძველს. ამ თვალსაზრისით სომატური ლექსიკა წარმოადგენს ფრაზეოლოგიური ერთეულების ერთგვარი სიმბოლური ორგანიზების საშუალება

გამოყენებული ლიტერატურა

- გამყრელიძე, თ., კიკნაძე, ზ., სადური, ი., & შენგელია, ნ. (2003). *თეორიული ენათმეცნიერების კურსი*. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- გოგოლაშვილი, გ. (2001). *სომატური ფრაზეოლოგია*. თბილისი.
- გოგოლაშვილი, გ. (2012). *ფრაზეოლოგიის საფუძვლები*. თბილისი.
- კაჭარავა, ე. (2010). *ქართული ფრაზეოლოგია და მისი სემანტიკა*. თბილისი.
- კვაჭაძე, ლ. (2004). *თანამედროვე ქართული ენა*. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- მელიქიშვილი, ი. (2008). *ლინგვოკულტუროლოგიის საფუძვლები*. თბილისი.
- ონიანი, ალ. (1988). *ქართული იდიომები*. თბილისი.
- სახოკია, თ. (1953-1955). *ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი*. ტ. I, II, III. თბილისი.
- ფუტკარაძე, ტ. (2005). *ენისა და კულტურის ურთიერთმიმართება*. ბათუმი: ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- ჩიქობავა, ა. (1952). *ზოგადი ენათმეცნიერების შესავალი*. თბილისი: მეცნიერება.
- ჯორბენაძე, ბ. (1989). *ქართული ენის ლექსიკოლოგია*. თბილისი: განათლება.
- Arnold, I. V. (1986). *The English Word*. Moscow: Higher School.
- Cowie, A. P. (Ed.). (1998). *Phraseology: Theory, Analysis, and Applications*. Oxford: Oxford University Press.
- Fernando, C. (1996). *Idioms and Idiomaticity*. Oxford: Oxford University Press..
- Lakoff, G., & Johnson, M. (1980). *Metaphors We Live By*. Chicago: University of Chicago Press.
- Moon, R. (1998). *Fixed Expressions and Idioms in English*. Oxford: Oxford University Press
- Seidl J., & McMordie W. (1998). *English Idioms and How to use them*. Oxford University Press.
- Wierzbicka, A. (1997). *Understanding Cultures Through Their Key Words*. Oxford: Oxford University Press.

REFERENCES

- gamqrelidze, t., k'ik'nadze, z., saduri, i., & shengelia, n. (2003). *teoriuli enatmetsnierebis k'ursi [Course of Theoretical Linguistics]*. Tbilisi: Tbilisi University Press.
- gogolashvili, g. (2001). *somat'uri prazeologia [Somatic Phraseology]*. Tbilisi.
- gogolashvili, g. (2012). *prazeologiis sapudzvebi [Foundations of Phraseology]*. Tbilisi.
- k'ach'arava, e. (2010). *kartuli prazeologia da misi semant'ik'a [Georgian Phraseology and Its Semantics]*. Tbilisi.
- k'vach'adze, l. (2004). *tanamedrove kartuli ena [Modern Georgian Language]*. Tbilisi: Tbilisi University Press.
- melikishvili, i. (2008). *lingvok'ult'urologiis sapudzvebi [Foundations of Linguoculturology]*. Tbilisi.
- oniani, al. (1988). *kartuli idiomebi [Georgian Idioms]*. Tbilisi.

- sakhok'ia, t. (1953-1955). *kartuli khat'ovani sit'qva-tkmani [Georgian Figurative Expressions]*. Vols. I, II, III. Tbilisi.
- put'k'aradze, t'. (2005). *enisa da k'ult'uris urtiertmimarteba [The Relationship between Language and Culture]*. Batumi: Batumi State University Press.
- chikobava, a. (1952). *zogadi enatmetsnierebis shesavali [Introduction to General Linguistics]*. Tbilisi: Metsniereba.
- jorbenadze, b. (1989). *kartuli enis leksik'ologia [Lexicology of the Georgian Language]*. Tbilisi: Ganatleba.
- Arnold, I. V. (1986). *The English Word*. Moscow: Higher School.
- Cowie, A. P. (Ed.). (1998). *Phraseology: Theory, Analysis, and Applications*. Oxford: Oxford University Press.
- Fernando, C. (1996). *Idioms and Idiomaticity*. Oxford: Oxford University Press..
- Lakoff, G., & Johnson, M. (1980). *Metaphors We Live By*. Chicago: University of Chicago Press.
- Moon, R. (1998). *Fixed Expressions and Idioms in English*. Oxford: Oxford University Press
- Seidl J., & McMordie W. (1998). *English Idioms and How to use them*. Oxford University Press.
- Wierzbicka, A. (1997). *Understanding Cultures Through Their Key Words*. Oxford: Oxford University Press.